საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოეთეს საზოგადოება

გოეთეს საზოგადოება, გოეთეს შემოქმედების მეცნიერული კვლევისა და პოპულარიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს განყოფილება. შეიქმნა თბილისში 1970, როგორც ვაიმარში 1885 დაარსებული გოეთეს საერთაშ. საზ-ბის ერთ-ერთი განშტოება. მისი დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი იყო ო. ჯინორია (1969-იდან გოეთეს საერთაშ. საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი). 1975-იდან პრეზიდენტი იყო დ. ლაშქარაძე, 1999-იდან – ნ. კაკაბაძე, 2006-იდან – მ. პაიჭაძე.

გ. ს-ის საქართვ. განყ-ბა შეისწავლის გერმ. კლასიკური ლიტ-რისა და კულტ. საკითხებს, ეწევა მის სისტემ. პროპაგანდას. ამ საქმიანობამ ქართ. გერმანისტიკის სკოლას ფართო აღიარება მოუპოვა საერთაშ. ასპარეზზე. გ. ს-ის საქართვ. განყ-ბის ანგარიში რეგულარულად ქვეყნდება გოეთეს საერთაშ. საზ-ბის ბეჭდვით ორგანოში „გოეთეს წელიწდეულში" („Goethes Jahrbuch"). 1995 დაარსდა გ. ს-ის ფოთის განყოფილება. 1982 ქუთაისში გაიხსნა ფილიალი, რ-იც 1996-იდან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ადგილ. ორგანიზაციად. დამოუკიდებელი გაერთიანებების წევრთა დელეგაციები მონაწილეობენ გოეთეს საერთაშ. საზ-ბის მიერ ორგანიზებულ გოეთეს კონგრესებში, რ-ებიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ვაიმარში.

ნ. ბაქანიძე